ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 35
28/07/2017

35-04-4-201707281805

საქართველოს საერთო სასამართლოებში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1.საქართველოს საერთო სასამართლოებში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლად დაინიშნოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - თეონა მახარაძე (პ/ნ 61004026155).

2.თეონა მახარაძეს (პ/ნ 61004026155) მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ წარმოადგინოს საკრებულოს ინტერესები საქართველოს საერთო სასამართლოებში საკრებულოს მიერ ან საკრებულოს მიმართ აღძრულ სარჩელებთან (ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებთან) დაკავშირებით. საკრებულოს სახელით შეიტანოს სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა, ხელი მოაწეროს მორიგების აქტს, დაესწროს და წარადგინოს საკრებულოს პოზიცია მოსამზადებელ და მთავარ სხდომებზე. განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მხარისათვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

3.ამ განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე